# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1

(საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით
კონკურსის გამოცხადების შესახებ)

19. 12.----------2014 წელი

ქალაქ ფოთი
სხდომას ესწრებოდნენ:

1. ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნიკოლოზ გრიგოლია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის წევრი);
3. გიორგი მოისწრაფიშვილი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის წევრი);
4. მამუკა ყურუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
5. თამთა დაგარგულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის ურბანული განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი);
6.

საკონკურსო კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ერთეული) მიერ, მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №1429, 02.12.2014წ.) ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით (იხ.დანართი1).

დღის წესრიგი:

1. მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №1429, 02.12.2014წ.) კონკურსანტების შპს ,,სალი 2011"-ს და ,,ლერი გოშაძე-გოშა"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვის შესახებ.

**მოისმინეს:** ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით საკონკურსო განცხადების შესაბამისად, საკონკურსო პიროებებით განსაზღვრულ ვადაში, დალუქული კონვერტით საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა შპს ,,სალი 2011"-მა და ,,ლერი გოშაძე-გოშა"-მ.

**განიხილეს:** საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი სკონკურსო წინადადებები. განხილვის შედეგად დადგინდა:

,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შედგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის პირობებს, კერძოდ: კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი

დოკუმენტები (საგადახდო დავალება) გაცემულია ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შედგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად, ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაციები:

ა) კონკურსანტის რეკვიზიტები დანართი 1-ის მიხედვით;
ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
გ) ინფორმაცია კონკურსანტის პრაქტიკული გამოცდილების შესახებ.
დ) **კონცეფცია** - განმარტებითი ბარათი (A-4 ზომის ფორმათი, №12 შრიფტი, არა უმეტეს 4 ფურცელისა), გენგეგმა (ესკიზური სქემა), ფრაგმენტული განშლა (ზღვის ფასადი), რენდერები (მინიმუ 2 ხედი) შესაძლებელია დამატებითი მასალა ავტორის შეხედულებისამებრ.
ე) **კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო ესკიზური წინადადება** - განმარტებითი ბარათი, ტერიტორიის გენგეგმა, არქიტექტურული მოცულობების ესკიზები, რენდერები (მინიმუმ 2 ხედი), დამატებითი მასალა შესაძლებელია ავტორის შეხედულებისამებრ.
ვ) საკონკურსო წინადადების ფასი დანართი 2-ის შესაბამისად.

,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით და საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ განახორციელა კონკურსანტების კონკურსანტების მიერ წარმოდგნული საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა.

| | საკონკურსო წინადადებების შეფასების კრიტერიუმი | |
|---|---|---|
| 1. | კონცეფცია და ესკიზური საპროექტო წინადადება (განმარტებითი ბარათი, განშლა, გენგეგმა და რენდერები) | კოეფიციენტი - 0,4 |
| 2. | კონცეფციის პრაქტიკულად განხორციელების რეალობა | კოეფიციენტი 0,2 |
| 3. | პრაქტიკული გამოცდილება | კოეფიციენტი 0,2 |
| 4. | საკონკურსო წინადადების ფასი | კოეფიციენტი 0,2 |

ა). კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ კონცეფციასა და ესკიზურ საპროექტო წინადადებას (განმარტებითი ბარათი, განშლა, გენგეგმა და რენდერები) კომისიის წევრთა შეფასებით მიენიჭა პრიორიტეტულობის კოეფიციენტი შპს ,,სალი-2011"-ის - 17,6 ქულა, ხოლო ,,ლერი გოშაძე-გოშა"-ს - 17,6 ქულა.

ბ) კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული კონცეფციის პრაქტიკულად განხორციელების რეალობაზე კომისიის წევრთა შეფასებით პრიორიტეტულობის კოეფიციენტი მინიჭებულია შპს ,,სალი-2011" -9,0 ქულა, ხოლო ,,ლერი გოშაძე-გოშა" 9,0 ქულა.

გ) კონკურსანტების პრაქტიკულ გამოცდილებას კომისიის წევრთა შეფასებით პრიორიტეტულობის კოეფიციენტი მინიჭებულია შპს ,,სალი-2011" -9,6 ქულა, ხოლო ,,ლერი გოშაძე-გოშა" - 9,6 ქულა.

გ) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილია საკონკურსო წინადადების ფასები, კერძოდ: შპს ,,სალი-2011"-ის საკონკურსო წინადადების ფასია - 105000 ლარი, ხოლო ,,ლერი გოშაძე-გოშა"-ს საკონკურსო წინადადების ფასია - 115000 ლარი. კომისიის წევრთა შეფასებით პრიორიტეტულობის კოეფიციენტი მინიჭებულია შპს ,,სალი-2011" 9,6 ქულა, ხოლო ,,ლერი გოშაძე-გოშა"-ს 8,0 ქულა.

საპროექტო მომსახურების მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის)

რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების საპროექტო–საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით, საკონკურსო კომისიის წევრთა საერთო შეფასებით შპს ,,სალი-2011" მიენიჭა 45,8 ქულა, ხოლო ,,ლერი გოშაძე-გოშა"-ს 44,2 ქულა. ქულების რაოდენობის მიხედვით აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა - შპს ,,სალი-2011".

მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის პროექტირების საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის სხდომაზე მოწვეულ იქნენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კანდიდატები:

ა) **მერაბ ბოლქვაძე** - არქიტექტორი, ურბანისტი, არქიტექტურის დირექტორი;

ბ) **ბესარიონ ტატიშვილი** - არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი.

მოწვეულმა კანდიდატებმა სხდომაზე დააფიქსირეს თავიანთი შეხედულებები, რომელიც საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს თან ერთვის.

**აზრი გამოთქვეს:** ი. კაკულიამ, გ. მოისწრაფიშვილმა, ნ. გრიგოლიამ, მ. ყურუამ.

**,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად,დაადგინეს:**

1. მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით, კონკურსში განხორციელდეს ,,ლერი გოშაძე-გოშა"-ს საკონკურსო წინადადების დისკვალიფიკაცია.

2. მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით, კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს ,,სალი-2011" საკონკურსო წინადადება.

2. ეცნობოს კონკურსანტებს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება და შპს ,,სალი-2011" არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გამოცხადდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

3. კონკურს (საკონკურსო განცხადება №1429, 02.12.2014წ.) მიენიჭოს სტატუსი ,,გამარჯვებული გამოვლენილია".

კომისიის თავმჯდომარე ——— ირაკლი კაკულია

კომისიის წევრები:

გიორგი მოისწრაფიშვილი

ნიკოლოზ გრიგოლია

მამუკა ყურუა

თამთა დაგარგულია

დანართი 1

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 18.12.2014 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი საკონკურსო კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის პროექტირების მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №1429, 02.12.2014წ.), კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების შპს ,,სალი 2011" და ერთი პირის საწარმო ,,ლერი გოშაძე-გოშა"-ს მიმართ.

კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ გრიგოლია

კომისიის წევრები: გიორგი მოისწრაფიშვილი

მამუკა ყურუა

თამთა დაგარგულია

მოწვეული კომისიის წევრები: მერაბ ბოლქვაძე

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კანდიდატები: ბესარიონ ტატიშვილი

დანართი 1

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 19. 12. 2014 წელი

მე ქვემოთ ხელის მომწერი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის პროექტირების მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №1429, 02.12.2014წ.), კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების შპს ,,სალი 2011" და ერთი პირის საწარმო ,,ლერი გოშაძე-გოშა"-ს მიმართ.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კაკულია

## მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პროექტი

წარმოდგენილია 2 (ორი) საპროექტო წინადადება:

1. ინდივიდუალური მეწარმე ,,ლერი გოშაძე-გოშა“
2. შპს ,, სალი 2011“

წარმოდგენილი პროექტები შეესაბამება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ საკონკურსოდ შედგენილ მოცემულობას (ტექ.დავალებას)

პირველი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ნამუშევარი წარმოდგენილია საკმაოდ კარგად , როგორც გრაფიკული ასევე კონცეპტუალური თვალსაზრისით. მასში ასახულია მალთაყვის უბნის სრული განვითარების პერსპექტიული არსი.

კონკურსის მეორე მონაწილეა შპს ,,სალი 2011“ მის მიერ წარმოდგენილი ნამუშევარიც ასევე შეესაბამება ყველა წამოყენებულ პირობას და სრულად პასუხობს საკონკურსო პირობებს ყველა საჭირო კრიტერიუმით.

მის მიერ წარმოდგენილი გენ-გეგმა შესრულებულია მაღალ გრაფიკულ დონეზე.

საერთო შეფასების ფონზე ორივე პროექტი იმსახურებს ყურადღებას და იგრძნობა პროფესიონალის ნამუშევარი და გამოცდილება.პროექტები თანაბრად საინტერესოა.

პროექტი ინდივიდუალური მეწარმე ,,ლერი გოშაძე -გოშა“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტს არ აქვს ვიზუალურ მხარეში წარმოდგენილი ფრაგმენტული ვიზუალიზაციის ამსახველი მასალა,რომელიც ძალიან მაღალ დონეზე წარმოდგენილი აქვს შპს ,,სალი-2011“

ინდივიდუალური მეწარმე ,,ლერი გოშაძე - გოშა“ დამყარებულია ინტერნეტში მოძიებულ მასალებზე, საინტერესო და უკეთესი იქნებოდა მათ წარმოედგინათ თავისი კონცეპტუალური წარმოდგენა ,რაც ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა შემსყიდველის მხრიდან

ამ მცირედი მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალის გამო შპს ,,სალი-2011“ -ს მიენიჭა გადამწყვეტი ხმა და გამოვლინდა გამარჯვებულად .

მოწვეული სპეციალისტი არქიტექტორი: ბესარიონ ტატიშვილი

19.12.2014

მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პროექტი

ხაზგასმით გვინდა ავღნიშნოთ ორივე ნამუშევრის მაღალხარისხობრივი შესრულების დონე. ქალაქგეგმარებითი კონცეფციით,როგორც სამანქანო ისე ფეხმავალთა ზონების გააზრება სწორად არის გადაწყვეტილი. საინტერესოა ობიექტების აკუმულირების გადაწყვეტილებით. ორივე ნამუშევარში შემოთავეზებული რეკრეაციული ზონის ბულვარის საპროექტო გადაწყვეტილება.

გააქტიურებულია არსებული წყლის სარკეების ათვისების წინადადებები. ორივე ნამუშევარში საპროექტო განვითარება ორგანულად არის ,,ჩაბმული" არსებულ ქალაქგეგმარებით სტრუქტურაში.

შედარებით უფრო კონკრეტულია გენგეგმის ფრაგმენტებისა და მცირე არქიტექტურული ფორმების გადაწყვეტის წინადადებები შპს ,,სალი 2011"-ის ნამუშევარში.

მისასალმებელია ქ. ფოთის მერიის და საკრებულოს გადაწყვეტილება ასეთი მნიშვნელოვანი ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი კონცეფციის განვითარების თაობაზე.

მოწვეული სპეციალისტი არქიტექტორი: მერაბ ბოლქვაძე

19.12.2014

# კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

**შესყიდვის ობიექტი:** მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის პროექტირება

**კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი კაკულია**

| N | შეფასების კრიტერიუმი | შეფასების კოეფიციენტი | „ლერი გოშაძე - გოშა" | | შპს „სალი 2011" | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| 1. | კონცეფცია და ესკიზური საპროექტო წინადადება (განმარტებითი ბარათი, განშლა, გენგეგმა და რენდერები) | 0,4 | 8 | 3.2 | 9 | 3.6 |
| 2. | კონცეფციის პრაქტიკულად | 0,2 | 10 | 2 | 9 | 1.8 |
| 3. | პრაქტიკული გამოცდილება | 0,2 | 10 | 2 | 10 | 2 |
| 4. | საკონკურსო წინადადების ფასი | 0,2 | 8 | 1.6 | 10 | 2 |
| | სულ ჯამი | 10 | | 8.8 | | 9.4 |

ხელმოწერა ---------- კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კაკულია

19.12.2014 წელი

# კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

**შესყიდვის ობიექტი:** მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის)რეაბილიტაციის პროექტირება

**კომისიის წევრი - გიორგი მოისწრაფიშვილი**

| N | შეფასების კრიტერიუმი | შეფასების კოეფიციენტი | ,,ლერი გოშაძე - გოშა" | | შპს ,,სალი 2011" | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| 1. | კონცეფცია და ესკიზური საპროექტო წინადადება (განმარტებითი ბარათი, განშლა, გენგეგმა და რენდერები) | 0,4 | 9 | 3.6 | 8 | 3.2 |
| 2. | კონცეფციის პრაქტიკულად | 0,2 | 8 | 1.6 | 9 | 1.8 |
| 3. | პრაქტიკული გამოცდილება | 0,2 | 9 | 1.8 | 9 | 1.8 |
| 4. | საკონკურსო წინადადების ფასი | 0,2 | 8 | 1.6 | 10 | 2 |
| | სულ ჯამი | 10 | | 8.6 | | 8.8 |

ხელმოწერა ---------- კომისიის წევრი გიორგი მოისწრაფიშვილი

19.12.2014 წელი

## კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

**შესყიდვის ობიექტი:** მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის პროექტირება

**კომისიის წევრი - ნიკოლოზ გრიგოლია**

| # | შეფასების კრიტერიუმი | შეფასების კოეფიციენტი | „ლერი გოშაძე“ | | შპს „სალი 2011“ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| 1. | კონცეფცია და ესკიზური საპროექტო წინადადება (განმარტებითი ბარათი, განშლა, გენგეგმა და რენდერები) | 0.4 | 9 | 3.6 | 9 | 3.6 |
| 2. | კონცეფციის პრაქტიკულად | 0.2 | 9 | 1.8 | 9 | 1.8 |
| 3. | პრაქტიკული გამოცდილება | 0.2 | 9 | 1.8 | 9 | 1.8 |
| 4. | საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 8 | 1.6 | 10 | 2 |
| | სულ ჯამი: | 10 | | 8.8 | | 9.2 |

ხელმოწერა ---------- კომისიის წევრი ნიკოლოზ გრიგოლია

19.12.2014 წელი

# კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

შესყიდვის ობიექტი: მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის)რეაბილიტაციის პროექტირება

კომისიის წევრი - მამუკა ყურუა

| N | შეფასების კრიტერიუმი | შეფასების კოეფიციენტი | ,,ლერი გოშაძე - გოშა" | | შპს ,,სალი 2011" | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| 1. | კონცეფცია და ესკიზური საპროექტო წინადადება (განმარტებითი ბარათი, განშლა, გენგეგმა და რენდერები) | 0,4 | 9 | 3,6 | 9 | 3,6 |
| 2. | კონცეფციის პრაქტიკულად | 0,2 | 9 | 1,8 | 9 | 1,8 |
| 3. | პრაქტიკული გამოცდილება | 0,2 | 10 | 2 | 10 | 2 |
| 4. | საკონკურსო წინადადების ფასი | 0,2 | 8 | 1,6 | 9 | 1,8 |
| | სულ ჯამი | 10 | | 9 | | 9.2 |

ხელმოწერა ---------- კომისიის წევრი მამუკა ყურუა

19.12.2014 წელი

# კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

**შესყიდვის ობიექტი:** მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის)რეაბილიტაციის პროექტირება

**კომისიის წევრი** - თამთა დაგარგულია

| N | შეფასების კრიტერიუმი | შეფასების კოეფიციენტი | ,,ლერი გოშაძე - გოშა" | | შპს ,,სალი 2011" | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| 1. | კონცეფცია და ესკიზური საპროექტო წინადადება (განმარტებითი ბარათი, განშლა, გენგეგმა და რენდერები) | 0,4 | 9 | 3.6 | 9 | 3.6 |
| 2. | კონცეფციის პრაქტიკულად | 0,2 | 9 | 1.8 | 9 | 1.8 |
| 3. | პრაქტიკული გამოცდილება | 0,2 | 10 | 2 | 10 | 2 |
| 4. | საკონკურსო წინადადების ფასი | 0,2 | 8 | 1.6 | 9 | 1.8 |
| | სულ ჯამი | 10 | | 9 | | 9.2 |

ხელმოწერა ---------- **კომისიის წევრი** თამთა დაგარგულია

19.12.2014 წელი